„საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენის წესით მართვის კანონმდებლობა და პრაქტიკა“

მერაბ კვარაცხელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟირნო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერაბ კვარაცხელია 25.05.2016

აბსტრაქტი

ტყე საქართველოსთვის უნდა გახდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარანტი ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნებული იყოს ეკოლოგიური მნიშვნელობა. საქართველოში არსებული რესურსების ეფექტურად, მდგრადი პრინციპებით გამოყენებისათვის, პირველ რიგში საჭიროა სატყეო სექტორში არსებული პრობლემების წარმოჩენა და შემდეგ პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვა. ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სატყეო სექტორში არსებულ მიჩენის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის გადაცემის კანონმდებლობას, რომელიც დეტალურადაა შესასწავლი და შესაფასებელი იმისთვის, რომ მომავალში უფრო მდგრადად და ეფექტურად მოხდეს ტყის ფონდის მართვა. მიჩენილია სახელმწიფო ტყის ფონდის უბანი, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, მართავს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „საქართველოს საპატრიარქო“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ნაშრომში განხილული იქნება ტყის ფონდის მიჩენის მიზნით მართვის კანონმდებლობა და პრაქტიკა, შეფასებული იქნება მეთოდოლოგიის მიხედვით. განხილული იქნება კანონმდებლობის მიღების როგორც ისტორიულ-სამართლებრივი მხარე, ასევე სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებები. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი იქნება დასკვნები და რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიჩენა, ტყის ფონდი, საპატრიარქო, კანონმდებლობა, პრობლემები, მდგრადი განვითარება.